საქმე №3/1285-09 წ.

სასამართლო სხდომის ოქმი

9 ივლისი 2010 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ნინო შარაძე

სხდომის მდივანი თამარ ბარნოვი

მოსარჩელე—ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა";

მოპასუხე — საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო;

მესამე პირები: 1. საქართველოს მთავრობა;

2. ქ. თბილისის მთავრობა;

3. შპს "მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი"— უფლებამონაცვლე "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი";

დავის საგანი: 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული წილის ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დანართების, ასევე 2009 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №1025 განკარგულების საფუძველზე, შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალისა" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებით განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების განსაიდუმლოების და მისი როგორც საჯარო ინფორმაციის გაცემის მოპასუხისათვის დავალების თაობაზე.

სხდომა დაიწყო 12^{00} საათზე.

მოსამართლე ხსნის სასამართლოს მთავარ სხდომას, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადდნენ მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე, მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი სოფიო ახალაძე, მესამე პირის ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელი სალომე ბარბაქაძე და მესამე პირის საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ირაკლი კოპალიანი.

არ გამოცხადდა მესამე პირის შპს "მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი"ს – უფლებამონაცვლე "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი"-ს წარმომადგენელი ბესიკ კობერიძე.

გამოუცხადებელი მხარე სხდომაზე გამოცხადების თაობაზე გაფრთხილებული იყო კანონით დადგენილი წესით.

მოსამართლე აცხადებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს.

მოსამართლემ განმარტა დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის, მისი გასაჩივრების წესი და ვადა.

სასამართლო სხდომა დახურულად გამოცხადდა 12[05] სთზე.

მოსამართლე: ნინო შარაძე

სხდომის მდივანი: თამარ ბარნოვი